პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 18 ნოემბერი 1925 წ.

წულიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

ფიფილი პროლეტარიელი

262 (960) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განათლებისუფროელოდლიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი 1 ფერ. ფ. 40 კოპ. სტრ.

მუშაობა ახალწვეულებთან.

ახალწვეულების მოსვლა წითელ ჯარში თითქმის დასრულდა. მალე კარანტინიც გათავდება და ნაწილები შეუდგებიან ახალგაზრდა წითელ არმიელების სამხედრო გაწვრთნას და მომზადებას. ამავე დროს დიდ ყურადღებას ახალწვეულების პოლიტიკურ-კულტურული აღზრდაც.

ამ მხრივ ჩვენი ნაწილების კლუბებმა, ლენკუთხეებმა, ბიბლიოთეკებმა და სხვა და სხვა წრეებმა ფართედ უნდა გაა ცხოველონ მუშაობა. მათი ამოცანაა ფართედ მიიზიდონ წითელ არმიელთა მასა და აქტიურად ჩაებმან თავის მუშაობაში.

ეს კი შესაძლებელია იმ პირობით, თუ თავიდანვე აღებული იქნება მუშაობის სწორი გეზი, თუ მთელი მუშაობა შეფარდებული იქნება ახალწვეულების პოლიტიკურ-კულტურულ მომზადების დონეს თან. უნდა აღინიშნოს, რომ წინანდელ გაწვევებთან შედარებით წლევანდელი გაწვევა უფრო აქტიური და მომზადებულიცაა. ყოველივე ეს აქედანვე უნდა იქნას გათვალისწინებული.

უნდა შევეცადოთ, რათა ყველა ახალწვეულები ჩაბმულ იქნას მუშაობაში. სწავლების საზამთრო პერიოდი ამისათვის მეტად კარგ პირობებს იძლევა.

ახალწვეულების ნაწილის მუშაობის ყოველ დარგში ფართედ ჩაბმა დიდათ დამოკიდებულია თვით პოლიტ და კულტურული მუშაკების აქტივობისაგან, ენერგიისაგან. ესევე ითქმის აგრეთვე ძველ წითელ არმიელებზე „და კომკავშირელებზე. ეს უკანასკნელნი უნდა იყვნენ მაგალითები ახალწვეულებისათვის.

დასასრულ ორიოდე სიტყვა კლუბების, წრეების, ლენკუთხეების მუშაობის შინაარსის შესახებ. ის მეტის მეტად მიმზიდველი უნდა იყოს. ის გამსჭვალული უნდა იყოს საბჭოდო სულით, არ უნდა იყოს ბაბლონური, უნდა გაღვიძოს ახალწვეულში ხალისი, ინტერესი და აქტივობა.

მაშინ მიზანსაც—წითელი მებრძოლის პოლიტიკურად და კულტურულად აღზრდას,—წარმატებით მივაღწევთ.

გავაცხოველოთ მუშაობა!

აღვზარდოთ ახალწვეული პოლიტიკურად და კულტურულად ისე, რომ ის იყოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ღირსეული მებრძოლი.

უკან დაიხია.

დღეს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია სასტიკად დევნის კომუნისტებს.

ციხისა, წამებისა და დახვრეტის საშუალებით ის სცდილობს აღმოფხვრას კომუნისტური მოძრაობა და განამტკიცოს თავისი ბატონობა.

ამ რამოდენიმე დღის წინად უნგრეთში დაიწყო რამოდენიმე კომუნისტების გასამართლება, მათ შორის საბრალდებლო სკამზე ზის ცნობილი ჟურნალისტი, შეუდრეკელი რევოლიუციონერი ამხ. რაკოში. უნგრეთის ბურჟუაზია ბრალს სდებს მათ, რომ თითქოს კომუნისტებს სურდათ არსებული ძალაუფლების დამხობა შეიარაღებული ძალით. რასაკვირველია, ეს მტკნარი სიცრუეა. კომუნისტები ახდენენ შეიარაღებულ აჯანყებას მხოლოდ მაშინ, როცა საამისო ხელსაყრელი პირობები არსებობს, როცა მშრომელთა მასა ორგანიზაციულად დარაზმულია და ის შეიარაღებულია. ასეთ რევოლიუციონერი გადატრიალების მოსახდენათ. უნგრეთში კი 1919 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა მუშათა მოძრაობა.

უნგრელი მუშები თანდათან რწმუნდებიან სოციალ-დემოკრატების (ოპორტუნისტების) გამეცმლურ პოლიტიკაში და დგებიან რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე. ამ ნიადაგზე ძლიერ გაიზარდა კომპარტიის გავლენა უნგრეთის პროლეტარულ მასებში. ეს არ მოეწონა უნგრეთის ბურჟუაზიას. ის შეშინდა და მეისვე შეუდგა კომპარტიის დევნას გამყიდველი სოციალ-დემოკრატიის ლოცვა კურთხევით. ბურჟუაზიას სურს მძიმე ბრალდება მოაბეჭოს კომუნისტებს გამოჩენილ ხელმძღვანელებს, გამოასალმოს ისინი სიცოცხლეს და მით უნგრეთის კომუნისტურ მოძრაობას მოაცილოს თავი.

რომ ეს ასეა, ამას მოწმობს თვით გასამართლების მსვლელობა, რომელიც სრულიად მოულოდნელად დაიწყო.

არც დამცველებმა და არც ბრალდებულებმა არ იცოდნენ საგანგებო სასამართლოს დანიშვნის შესახებ. სახელმწიფო ბრალმდებელი და თვით სასამართლო ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა დაემტკიცებინა ბრალდებულებისათვის წარდგენილი ყალბი ბრალდება. მაგრამ ბრალდებულებმა თავის გმირული სიკვდილით და დასაბუთებული პასუხით სრულიად დაასამარეს ბურჟუაზიული სასამართლოს ხრიკები და აურიეს მას დავრეკი. უნგრეთის ბურჟუაზიის მორიგი საზიზღარი სიკვდილის წინაღმდეგ მსოფლიოს ყოველმხრივ მოიმატა მშრომელთა სასტიკი პროტესტი.

ყოველივე ამან კიდევაც იქონია თავისი გავლენა.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ საგანგებო სასამართლომ უარი სთქვა რაკოშისა და მის ამხანაგების გასამართლებაზე და გადასცა ისინი ჩვეულებრივ სასამართლოს. უკვე ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს უნგრეთის ბურჟუაზიის მთელ სიყალბეს და დაპატიმრებულ კომუნისტების სრულ უდანაშაულობას. უნგრეთის ჯალათებმა ვერ შესძლეს თავისი ჯალათური გეგმის სისრულეში მოყვანა და უკან დაიხიეს.

—ე.

ახალი რადიო-ამბები

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ჩიან-ძო-ლინი დათმობაზე მიდის

პეკინის მთავრობის თავჯდომარემ მოწოდებით მიმართა ჩიან-ძო-ლინსა და სხვებს, დაადგენ შერიგების გზას.

ჩიან-ძო-ლინი წავიდა მრავალგვარ დათმობაზე და თანახმა გაიყვანოს თავისი ჯარები რამოდენიმე ქალაქიდან და რაიონიდან.

ზოგიერთი წრეები ფიქრობენ, რომ ჩიან-ძო-ლინი დათმობაზე იმიტომ წავიდა, რომ მას სურს გადასდოს სამშარი მოქმედება იანვარამდის. ზოგიერთები კიდევ ფიქრობენ, რომ ასეთი ნაბიჯი დროებითი მანევრია და შეტაკება მოსალოდნელია სულ ორ-სამ კვირაში.

ჩეხო-სლოვაკიის საპარლამენტო არჩევნები.

კომუნისტური ფრაქცია ძლიერდება.

დაიწყო ჩეხო-სლოვაკიის საპარლამენტო არჩევნები. სლოვაკიისა და კარპატიის რამოდენიმე ქალაქში კომუნისტებმა სოციალ-დემოკრატებზე გაიმარჯვეს მეტი ხმა მიიღეს. ჯერჯერობით 12 ოლქში არჩეულია 18 კომუნისტი, 18 სოციალ დემოკრატი, 18 ეროვნულ სოციალისტი, 21 სახალხო პარტიის წარმომადგენელი, 5 ნაციონალ დემოკრატი,

ფიქრობენ რომ კომუნისტებს წინანდელ თვრამეტი ადგილის მაგივრად, პარლამენტში ექნებათ 40.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა გადადგა.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში. მთავრობამ გადასცა პრეზიდენტს გადადგომის მარათი.

პრეზიდენტმა მიიღო გადადგომა და დავალა ძველ მთავრობას შეასრულოს მოვალეობა ახალი მთავრობის შედგენამდი.

კომუნისტ ბენცმანს 4 წლის ციხე მიუსაჯეს.

ლეიპციგის (გერმანიაში) ტრიბუნალმა მიუსაჯა მუშა-კომუნისტ ბენცმანს 4 წლის ციხე და დანარჩენ ორ მუშას თითო თვის ციხე.

მათ ბრალდებოდათ ამფეთქებელ ნივთიერებათა შენახვა.

სასამართლოს შემადგენლობაში იყო სამი სოციალ-დემოკრატი.

ინგლისი-რადიო-ამბები

განაჩენის მოსმენის შემდეგ ბრალდებულებმა წამოიძახეს: „გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციასა და გერმანიის კომპარტიას“.

რაკოშის საქმე გადაეცა ჩვეულებრივ სასამართლოს.

უნგრეთის საგანგებო სასამართლომ დაადგინა: ვინაიდან რაკოშის საქმის გარჩევა არ შედის მის უფლებებში, გადაეცეს მისი საქმე ჩვეულებრივ სასამართლოს.

სპარსეთში დასრულდა დამფუძნებელი კრების არჩევნები.

დამფუძნებელი კრების არჩევნების უკანასკნელ დღეს (14 ნოემბერს) რიზა—ხანმა დათვალიერა ჯარები.

ცენტრალურ დივიზიის უფროსმა გადასცა რიზა—ხანს მისალმების მარათი, რომელშიაც მიმართავს მას ძველებურ სახელწოდებით —„მეფეთ—მეფეო“. დივიზიის უფროსი უფლებას მას ტახტის გაწმენდას და აღუთქამს თავდადებით ემსახუროს „მის უდიდებულესობის„ განზრახვებს.

პროფინტერნის წერილი ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი.

იტალიის პროფკავშირთა დასაცავად.

პროფინტერნმა გაუგზავნა ამსტერდამის ინტერნაციონალს წერილი, რომელშიაც ასწერს რა იტალიის პროლეტარიატის მძიმე მდგომარეობას, ურჩევს მოაწყონ შეეერთებულად სხვა და სხვა ქვეყნებში მუშათა გამოსვლები ფაშისტურ ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

„საერთაშორისო ზრდილობის წესები“.

14 ნოემბერს ამხ. რაკოვსკი გაემგზავრა ინგლისიდან საფრანგეთში. აღსანიშნავია ის, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი არ დასწრებია რაკოვსკის გაცილებას.

კონსერვატორების გაზეთი „ობსერვერი“ აცხადებს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის ასეთი საქციელი უხეში და უზრდელურია“.

პოლონეთის მენშევიკები პილსუდსკის მომხრე არიან.

მემარჯვენეებთან მოლაპარაკებაში პოლონეთის მენშევიკებმა წამოაყენეს მოთხოვნილება პილსუდსკის სამხედრო მინისტრად დანიშვნის შესახებ.

მემარჯვენეებმა უარყვეს ეს წინადადება. მოლაპარაკება გრძელდება.

საბჭოთა კავშირში.

ხორბლეულის ნაწარმოების გატანა.

სექტემბრის განმავლობაში საბჭოთა კავშირიდან საფრანგეთში გატანილი იქნა 5.250.000 მანეთის ხორბლეულის ნაწარმოები.

1-ლ და მე-2 ქართულ დივიზიების მეთაურ-პოლიტშემადგენლობასა და აქტიურ წითელ არმიელებს.

ოთხწლიანმა, ქართული წითელი არმიის შედგენისა და გაძლიერების მუშაობამ მოგვცა დადებითი შედეგები როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში. მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობის [გარ]თულებით და ახალი ფორმების ძიებით რთულდება და ღრმავდება მთელი მუშაობა. სამხედრო და პოლიტმუშაკთა მხრივ საჭიროა დიდი ენერგია და ცოდნა, რათა სათანადოთ უხელმძღვანელონ მუშაობას; მეორეს მხრივ 4 წლის განმავლობაში მეთაურ-პოლიტშემადგენლობამ შეიძინა დიდი გამოცდილება, რომელიც საგრძნობლად განირჩევა არმიის ნუმერულ ნაწილების მუშაობის გამოცდილებისაგან.

ქართულ ნაწილებში მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას და მუშაობის თავისებურ ფორმებსა და მეთოდებს, ვინემ ნუმერულ დივიზიებში. განსაკუთრებით ეს ეხება როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეშე მუშაობის შესწავლას, პოლიტმეცადინეობის წარმოებას ჯგუფური მეთოდით. ქართველი წითელ არმიელის თავისებური კულტურული და პოლიტიკური დონე მოითხოვს ამ საკითხების სერიოზულ დამუშავებასა და ანალიზს.

მეთაურ-პოლიტშემადგენლობას არ აქვს საშუალება გაუზიაროს თავისი მუშაობის გამოცდილება სხვა ამხანაგებს. არ აქვს აგრეთვე საშუალება სერიოზულად დაამუშაოს მუშაობის პროცესში წამოჭრილი საკითხები შეკვეცილ კრებებსა და სხდომებს გარეშე.

აქ ამიტომ დიდი ხანია მომწიფდა ბეჭდვითი ორგანოს შექმნის საკითხი, რომლის შემწყობითაც ჩვენ შეეძლებდით ზემოაღნიშნულ პრობლემებისა და ჩვენი მიმდინარე მუშაობის საჭიროებოროტო საკითხების გადაჭრას.

გაზეთ „წითელი არმიელი“-ს ამ მხრივ გამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან ის უნდა დარჩეს მასების გაზეთად.

რუსულ ენაზე ჩვენ გვაქვს რამოდენიმე სამხედრო და პოლიტიკური ჟურნალი, რომლებიც, რა თქმა უნდა, გამოყენებულ უნდა იქნან ჩვენი სამხედრო და პოლიტიკურ მოამზადებელ მიერ. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი მეთაურ-პოლიტშემადგენლობის ნახევარმა არ იცის რუსული ენა, რის გამოც არ შეუძლიათ გამოიყენონ მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელიც აქვს მ. გ. წ. ა. შტაბსა და რ. პ. ს-ს.

ჟურნალის ერთ უმთავრეს ამოცანად უნდა იყოს მუშაობის გამოცდილების შესწავლა ჩვენს ტერნაწილებში და წერტებზე გამნეულ კადრის მეთაურ-პოლიტშემადგენლობისადმი მასალების მიწოდება.

ზემომოყვანილის გამო 1-ლ და მე-2 ქართულ დივიზიების პოლიტიკური განყოფილებები აუცილებელ საჭიროდ სთვლიან გამოცემულ იქნას ქართულ ენაზე „ვოენნი ვესტნიკის“ მზგავსი სამხედრო პოლიტიკური ჟურნალი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთნაირი ყურადღება მიეცეს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საკითხების დამუშავებას.

რომ ჟურნალი მთლიანად და სავსებით გამოხატავდეს ჩვენი დივიზიების მუშაობის მდგომარეობასა და შეეძლოს გაუწიოს სამსახური ყველა ჩვენს მომუშავეებს, ამისათვის აუცილებელია ითანამშრომლონ მასში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი დივიზიების ყველა მომუშავეებმა.

ჟურნალი გამოვა ყოველთვიურად 32-დან 48 გვერდამდი. ჟურნალის ფასი იქნება 30 კაპეიკი.

მთელი პოლიტშემადგენლობა და აქტიური წითელ არმიელები უნდა იყვენ ჩვენი ჟურნალის თანამშრომლები. პირველი № გამოვა 1-ლ დეკემბერს. ამ ცირკულიარით (ცირკულიარი ნაწილებს ცალკე არ დაეგზავნებათ); წინადადება ეძლევა ყველა ქართულ ნაწილებს დაიწყონ თავიანთ მეთაურ-პოლიტშემადგენლობის შორის კამპანია ჟურნალზე ხელის მოწერისთვის.

ამას გარდა ნაწილებმა საკმაო რაოდენობით უნდა გამოიწერონ ჟურნალები ცენტრის მიერ პოლიტსაგანმანათლებლო მომარაგებისთვის გამოცემულ თანხიდან.

მასალების გამოგზავნა, მიმოწერა და ჟურნალის გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, 1-ლ ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილება. ჟურნალისთვის.

1-ლ ქართულ დივიზიის პოლიტგანის უფროსი **ვირიკაძე.**
მე-2 ქართულ დივიზიის პოლიტგანის უფროსი **მარქაროვი.**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

მთელ საბჭოთა კავშირში პირველ ნოემბრამდე შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 50 მილიონ მანეთამდი ამათში საგლეხო სესხის ობლიგაციებით—6 მილიონი მანეთი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავალი ნორმალურად მიმდინარეობს.

სკოლის გარეშე განათლება და პრესა.

ჩვენ ჯარის ნაწილებში მომუშავე ამხანაგები ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სკოლის გარეშე განათლების საკითხების გაშუქებას „წითელ არმიელი“-ს ფურცლებზედ.

ზოგჯერ შეხვდებით კორესპონდენციებს, რომლებშიაც ნათქვამია, რომ ამა და ამ ნაწილში გაიმართა სადამო-წარმოდგენა, ამუშავდენ წრეები, ბიბლიოთეკა ვერა სდგას თავის სიმაღლეზე და სხვა არაფერი. კონკრეტულად არ არის ნახევენები საქმის ფაქტიური მსვლელობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარენი, მიდწეული ნ ა ნაკლი.

სკოლის გარეშე განათლების დარგში ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი მეთოდიური ლიტერატურა, გარდა ცირკულიარებისა და ყრილობების რეზოლიუციების. ეს გარემოება გვავალებს ჩვენ ფართედ გამოვიყენოთ გაზეთი „წითელ არმიელი“ და მისი საშვალებით გავაშუქოთ და ნათელყოთ ზოგი ერთი მეთოდიური საკითხი.

ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეთოდიურ საკითხების გაშუქებას, ზედ მეტად მიმაჩნია. სკოლის გარეშე განათლების მუშაკნი ჯერედ კიდევ ვერ გარკვეულან თავიანთ იმ საქმეში, რომლის შესასრულებლად ისინი არიან მოწოდებულნი, ჯერ კიდევ არის ერთგვარი „შერყეობა“, სწორე ხაზიდან გადაცილება, სკოლის გარეშე საქმეში სასკოლო მეთოდის ხმარება და მრავალი სხვა.

და რომ ყველა ეს ნაკლი თავიდან ავიცილოთო, საჭიროა გაუზიაროთ ერთმანეთს გაზეთის საშვალებით საქმის ნამდვილი მსვლელობა. უნდა დავანგბოთ თავი ზოგადათ ამა თუ იმ საკითხის გაშუქებას. ადებულ უნდა იქნეს ერთი რომელიმე საკითხი და ყოველ მხრივ გაშუქებული იგი; აგრეთვე უნდა დავაღწიოთ თავი უმნიშვნელო წვრილმანებს, მაგ. მოიროთო ლენინის კუთხე, გვაქვს ლამაზი პლაკატები და კოტტათ შესრულებული ლოზუნგები. საქმე ლამაზ ლენინის კუთხის მოწყობა კი არ არის, არამედ თუ რამდენად იგი აღწევს მიზანს, რამდენად არიან ჩამბული მის მუშაობაში წითელ არმიელნი და მეთაურნი, წარმოებული შიგ მუშაობა რამდენათ აინტერესებს წითელ არმიელებს და სხვა.

აი, სამაგალითოდ, ის საკითხები, რომლების გაშუქებაც პრესაში იქნება სასურველი:

1. ახალწვეულთა მიღება და დაწყებითი მუშაობა მათთან;
2. პარტორგანიზაცია და სკოლის გარეშე მუშაობა;
3. საერთაშორისო მდგომარეობა და კლუბი;
4. სამხედრო საქმის პროპაგანდა კლუბში;
5. როგორ მუშაობს მეთაურთა შემადგენლობა კლუბში.
6. მკითხველთა ინტერესების შესწავლა;
7. თვითმოქმედება და საზოგადოებრიობა კლუბში, ლენინკუთხეში, ბიბლიოთეკაში.

თუ სკოლის გარეშე განათლების საქმის გაშუქებას გაზეთის ფურცლებზე დავაყენებთ სათანადო სიმაღლეზე, ამით დიდ სარგებლობას მოუტანთ ნაწილებში მომუშავე ამხანაგებს.

ე. ხუციშვილი.

სამხედრო საქმე.

როგორ უნდა მოუარო შაშხანას სამსახურის დროს.

მოუარე შაშხანას, ის საუკეთესო მეგობარია ბრძოლაში.

მეცადინეობის და საერთოდ სამსახურის დროს უნდა მოფრთხილდე შაშხანას, არ დაჭარა რაიმეზე და ხელიდან არ გაგდო. ასეთ შემთხვევაში ადვილად ზიანდება სანიშნო, კოჩა და ხიშტი. უნდა ეცადო რომ შაშხანის შიდა ნაწილში, განსაკუთრებით ლულაში მტვერი ან სილა არ შევიდეს.

ლულაში თუ სილა ჩაცვივდა, გაწმენდის დროს გაფხეკნის, ხოლო თუ საკეტში მოხვდა, ხელს უშლის მის მუშაობას. შესაძლებელია, რომ წითელ არმიელი უცობს შაშხანას პირს ჩვარით, რომ შაშხანა დასვეულების ან მტვერისაგან დაიცვას. ეს დაუშვებელია, ვინაიდან სროლის წინ თუ ჩვარის ამოღება დავიგიწყდა, ლულა გაიბერება, ან, რაც უარესია, გასკდება. ამის გარდა იქ, სადაც დაცულია ჩვარი, ყოველთვის ჟანგი ჩნდება.

შაშხანის ჯგუფად დაყენების დროს უნდა ეცადო, რომ სანიშნოები ერთმანეთს არ ხვდებოდენ. როცა მეცადინეობის შემდეგ შაშხანა მიწაზე სდგა, საკეტის თავრეა უნდა ეჯენიბოდეს მიწას.

ვინაიდან საკეტის უვაზნოთ ხშირი გადება-დაკეტით მეტად ზიანდება მისი ნაწილები, სასროლო მეცადინეობის დროს აუცილებელად საჭიროა სასწავლო ვაზნებით ვარჯიში. თუ რომ ვაზნა არ ეტევა სავაზნეში, არაავითარ შემთხვევაში ის ძალით არ უნდა შეუშვა საკეტით, არამედ უნდა დახედო, ხომ არაა ის შეპყლეტილი, გასვრილი, ან სავაზნე—ძალიან დაზეთილი.

მეცადინეობის შემდეგ უნდა მოაშორო შაშხანას მტვერი, გასწმინდო ლულა და სავაზნე, ხოლო შემდეგ მსუბუქად დაზეთო, გამოიღო საკეტი, მოუშვა ჩახმახი და შეინახო პირამიდაში. საკეტის გამოღება საჭიროა იმისთვის, რომ დასვენებულ იქნას ზამბარა.

თუ რომ შაშხანა სიცივეში იმყოფებოდა, უნდა აცალო „შეოფლიანდეს“, ხოლო შემდეგ უნდა გასწმინდო და გაამშრალო მშრალი ჩვარით ან ძაღლით, ხოლო შემდეგ დაზეთო. თუ რომ შაშხანა არ გაამშრალე, დაჟანგიანდება.

თუ რომ შაშხანა წვიმაში იყო და მისი ხის ნაწილები დასველდა, ჯერ უნდა გასწმინდო და გაამშრალო დაუშლელად, რომ ხის ნაწილები არ გაიღუნონ გაშრობის დროს; ხოლო, ცოტა ხნის შემდეგ უნდა დაშალო და გასწმინდო სრულიად.

წესდების ყველა ეს წესები კეთილსინდისიერად უნდა ასრულოს თვითეულ წითელ არმიელმა შაშხანის მიღების პირველ დღიდანვე. თუ ეს პირობები დაცულ იქნება, შაშხანაც ყოველთვის წესრიგზე იქნება შენახული.

პ.

შეისწავლე 1905 წლის რევოლიუციას.

რა ხდებოდა არმიასა და ფლოტში 1905 წლის რევოლიუციის დროს.

მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობა 1905 წლის ზაფხულზე გადადის არმიაშიც. ამ დროს თადარიგის ჯარისკაცთა შორის, რომლებიც გამოწვეული არიან ომში გასაგზავნად ხშირია შემთხვევა, რომ ჯარისკაცები არ უჯერებენ უფროსებს, სცემენ ოფიცრებს, პოლიციას, ჟანდარმებს. სამხედრო დისციპლინა ეცემა.

იყო შემთხვევები, რომ ჯარისკაცები გადაჭრით ამბობდენ უარს ომში წასვლაზე. მაგალითად, სევასტოპოლის მეზღვაურთა რაზმმა ომში გაგზავნისას დამტვრია ყაზარმა, გაიძახოდენ:

„ძირს ომი!“ და ააფრიალეს წითელი დროშები. მთავრობამ მათ წინააღმდეგ გამოუძახა ჯარისკაცებს, მაგრამ მათ უარი განაცხადეს სროლაზე.

ასეთი შემთხვევები—ჯარის მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ სროლაზე უარის თქმა ხშირად მეორდებოდა. ომში გაგზავნილი თადარიგის ჯარისკაცები, რომლებსაც გზაში შეჩერებდენ და გაყავდათ აჯანყებულ სოფლების დასაწყნარებლად, უარს ამობდენ თავიანთ მოძმე გლეხების წინააღმდეგ სროლაზე. ლომბი ჯარისკაცებმა არ ესროლეს მუშებს. ვარშავაში ლიტვის ლეგიონმაც უარი განაცხადა ხალხის წინააღმდეგ სროლაზე და სროლა აუტეხა ყაზახებს.

ყველგან, სადაც კი ჯარისკაცები ახლო დამოკიდებულებაში იყვენ მუშებთან, მათში გადადიოდა რევოლიუციონური სული. იფიცებოდა ჯარისკაცები, და დაბნეული, შეშინებული მთავრობა სცდილობდა დაეკმაყოფილებია გაფიცული ჯარისკაცები—აუმჯობესებდა მათთვის საკვლელს, ტანსაცმელს, ეპურობოდა უფრო ლმობიერად.

დაბოლოს, 1905 წლის ივნისში მოხდა ცნობილი აჯანყება შავი ზღვის ფიდეს ჯავშნოსან გემზე, რომელსაც ხელად ერქვა „კნიაზ პატიომკინ ტავრიჩესკი“.

„პატიომკინზე“ აჯანყებამდი სოციალ დემოკრატები (ბოლშევიკები) აწარმოებდენ რევოლიუციონურ აგიტაციას მეზღვაურებში. გემებზე დაარსებული იყო სოციალ დემოკრატიული წრეები. ფლოტი ემზადებოდა აჯანყებისთვის. მაგრამ „პატიომკინზე“ აჯანყება მოულოდნელად მოხდა.

აჯანყება დაიჩქარა ოფიცრობის არაადამიანურმა მოპყრობამ მეზღვაურებისადმი. მოთმინებიდან გამოსულმა მეზღვაურებმა მოჰკლეს 7 ოფიცერი, დანარჩენები შეიპყრეს და ააფრიალეს წითელი დროშა.

ყველაფერი ეს მოხდა ოდესის ახლოს. რევოლიუციონური გემის ოდესაში მოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სევასტოპოლიდან „პატიომკინის“ წინააღმდეგ გაგზავნილი იქნა მთელი ფლოტი, მაგრამ დაინახა თუ არა „პატიომკინი“ ის [ეკ]ანვე გამობრუნდა, ხოლო ერთი გემი „გიორგი ძლევამოსილი“ შეუერთდა აჯანყებულ გემ „პატიომკინს“.

მაგრამ მეზღვაურები არ იყვენ მომზადებული აჯანყებისთვის და არ იცოდენ რა უნდა ექნათ. აჯანყების სათავეში არ აღმოჩნდა კარგი ხელმძღვანელები.

დაპატიმრებულმა ოფიცრებმა და, განსაკუთრებით, ვადის ზევით მსახურ უნტერ—ოფიცრებმა შეიტანეს აჯანყებულ მეზღვაურებში შიში და გახრწნილება. გემმა „გიორგი ძლევამოსილმა“ უღალატა „პატიომკინს“. მიუხედავად ამისა მეფის მთავრობამ მაინც დახვრიტა 70 მეზღვაური იმ გემიდან.

„პატიომკინის“ აჯანყებულებიც დაიბნენ, არ იცოდენ რა ექნათ და გადასწყვიტეს წასულიყვენ რუმინეთის სანაპიროებისკენ, რომ იქ გადაეწყვიტათ როგორ მოქცეულიყვენ. დიდი წანწალის შემდეგ, რა ვერ დაინახეს რევოლიუციონური დახმარება რუსეთიდან „პატიომკინლებმა“ გადასწყვიტეს დანებებოდენ რუმინეთის ხელისუფლებას, ხოლო უკანასკნელმა კი გადასცა გემი და აჯანყებულები მეფის მთავრობას.

მიუხედავად ასეთი სამწუხარო შედეგისა, „პატიომკინის“ აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლიუციის ზრდისთვის. ამ აჯანყებამ ცხადჰყო, რომ არმიის საუკეთესო ნაწილი მზადაა შეუერთდეს სახალხო აჯანყებას. მაგრამ ამ აჯანყებამვე დაგვანახა რევოლიუციის სუსტი მხარე: მისი სათანადოდ მოუმზადებლობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ვერ გამოიყენა ისეთი დიდი გემის აჯანყება და ვერ უხელმძღვანელა მას.

რევოლიუციისთვის საჭირო იყო ბრძოლისა და მტერზე გამარჯვების სწავლა.

საჭირო იყო გაძლიერებული მზადება შეიარაღებულ აჯანყებისთვის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ. აქეთ მოუწოდებდა ბოლშევიკური პარტია მუშებსა და გლეხებს.

ი. ფ.

პირველი ღლეები წითელ ყაზარმაში

დისციპლინას მტკიცედ იცავენ.

3-მე ლეგიონი.

ლეგიონმა მიიღო ახალწვეულების საკმაო რიცხვი, რომლებიც ჯერ-ჯერობით მოთავსებული არიან კარანტინში. ახალწვეულების მოსვლის პირველი დღიდანვე გამოიყო მასწავლებელთა და პოლიტმუშაევთა კადრი, რომლებიც სისტემატიურად ატარებენ მათთან საუბრებს სხვა და სხვა საკითხებზე, ტარდება საუბრები აგრეთვე დისციპლინის შესახებ, რომლებიც დიდი ყურადღებით ისმენენ მას.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა ამ ერთი კვირის განმავლობაში, რომ ახალწვეულს თავისი ნების [illegible]ეტოვებოს წითელი ყაზარმა. ლეგიონის აქტივი წითელ არმიელები ახალწვეულებთან არიან თავისუფალ დროს და ესაუბრებიან მათ მათთვის ყველა საინტერესო მოვლენებზე ყაზარმულ ცხოვრებაში.

უსურვებთ ამხანაგებს ბოლომდე განგრძოთ ასეთი ენერგიული მუშაობა, რომ პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

წ. არმ. კინჭაძე.

ახალწვეულნი შეგნებულად ასრულებენ თავის მოვალეობას.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონს დიდი წინასწარი სამზადისი ჰქონდა ახალწვეულების შესახვედრად. პირველად მოწყობილი იქნა კარანტინი, სადაც მრავლად იქნა გამოფენილი ლოზუნგები, პლაკატები, ნაკაზები, ახალწვეულებზე მიძღვნილი კედლის გაზეთი და მრავალი სხვა, რომლებსაც ინტერესით ათვალიერებდენ ახლად მოსული ამხანაგები.

გასულ წელთან შედარებით წელს უფრო შეგნებული ახალგაზრდობა ეწვია ყაზარმებს. კითხვა პასუხის რვეული, რომელიც მოთავსებული იყო კარანტინის კუთხეში ამის საუკეთესოდ დამამტკიცებელია. ისინი იძლეოდენ გარკვეული ხასიათის და უკვე საქმიან შეკითხვებს. სჩანს ძლიერ არიან დაინტერესებული პოლიტიკური საკითხებით. როგორც გამორკვა ახალწვეულების უმეტესობას შეადგენენ ახკომკავშირელთა წევრები, რომლებიც ძლიერ ეტანებიან პოლიტიკური ხასიათის წიგნებს.

დისციპლინას ზედმიწევნით იცავენ, როდესაც აუხსნათ კარანტინის მნიშვნელობა და სხვა ერთი მათგანი არ ცდილა გამოსულიყო გარეთ.

სამხკორი შ. ბურკაძე.

ახალწვეულები მეორე ლეგიონში

ლეგიონში მოსული ახალწვეულები თავმოყრილი არიან ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მაზრებიდან და სხვა და სხვა ეროვნების. როგორც გამორკვა წერა-კითხვის უცოდინარი საკმაოდ არიან მათში. სჩანს სოფლად წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა კიდევ ვერ არის დაყენებული კარგ ნიადაგზე.

არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ნახულობენ ზღვას თავის სიცოცხლეში. ისინი დიდი ინტერესით ეცნობიან უნახავ-უცნობ მოვლენებს.

ახალწვეულებში დიდ სიხარულს იწვევს ის გარემობა, რომ წითელ ყაზარმაში სამხედრო ცოდნის გარდა მიიღებენ პოლიტიკურსა და კულტურულ განვითარებას.

ჯერ-ჯერობით ამხანაგები მოთავსებული არიან კარანტინში და როგორც ხშირად მოგვითხრობენ, მოუთმენლად მოელიან ასეულებში გადასვლას და მეცადინეობის დაწყებას.

საერთო სულიერი განწყობილება მათში სიუცხოვეა. წითელი ჯარის რიგებში მოხვედრა ყველას ძლიერ ახარებს.

გაუმარჯოს მთსა და ლეგიონის უფროსების მომავალ მუშაობას.

სამხკორი ვ. ღ.

ახალწვეულის პირველი დაინტერესება.

ცხენ. ლეგიონი.

13 ნოემბერს ლეგიონის მესამე ესკადრონში ახალწვეულ არმიელებისათვის მოეწყო პირველი პოლიტლატარეია, პოლიტხელისა და უჯრედის მდივნის თაოსნობით. ლატარეიამ თვალნათლივ დაგვანახა თუ რამდენად აქტიური ახალწვეულები მიღღია ჩვენს ლეგიონს. უმრავლესობა სათანადო მომზადებით არიან. ყველა პოლიტშეკითხვებზე სხარტად და გამეტყველთ იძლეოდენ პასუხს.

ესკადრონის ახალწვეულების 45 პროც. ახკომკავშირის წევრები არიან. დღითი დღე იზრდება აქტიურ მხედართა კადრი, რომლითაც ამაყობს ქართულ მუშურ-გლეხური წითელი ლაშქარი.

სამხკორი ჩახ.ია.

ახალწვეულთა ცხოვრებიდან.

მე-6 ტერ-ლეგიონი.

7 დღის კარანტინში ყოფნის შემდეგ ახალწვეულები დანაწილებულ იქნენ ყველა ასეულებში და ლეგუნცროს მეთაურთა სკოლაში. უმეტესათ სკოლასა და საკავშირო, ტყვიამფრქვეველებს მიეცათ წერა-კითხვის კარგათ მცოდნე ამხანაგები.

უკვე დაიწყო მათთან სამხედრო და პოლიტმეცადინეობა, რასაც ახალწვეულები დიდის ენერგიით და ხალისით ეკიდებიან. ახალწვეულები დიდათ დაინტერესებულნი არიან კულტურული მუშაობით, რასაც ამტკიცებს მათი ხშირი საუბარი პოლიტხელებთან და კლუბის უფროსთან. წერა-კითხვის უცოდინარობის გამოსარკვევათ იქნა დანიშნული გამომცდელი კომისია, რომელმაც გამოარკვია შემდეგი:

სულ ლეგიონში არის 127 კაცი წერა-კითხვის უცოდინარი, რომლებიც დაყოფილ იქნენიან ჯგუფებად და სასწრაფოთ დაიწყება მათთან მეცადინეობა.

უფროსს მასწავლებელს დამზადებული აქვს სათანადო ნივთები. ლენკუთხეებში ახალწვეულებისათვის ტარდება საუბრები, თავის მხრივ კლუბიც სამზადისშია, რომ 18 ნოემბერს მოაწყოს ახალწვეულთა შეხვედრის საღამო. ახალწვეულები ძლიერ ეტანებიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

სამხკორი ე—ლი.

ახალწვეულის პატარა შენიშვნა.

სიხარულით ეგებებიან ახალწვეულები საერთო მეცადინეობის დაწყებას, ყველაფრით კმაყოფილი არიან. აი პირველი მეცადინეობის დაწყება, რომელსაც სიხარულით მოველოდებით.

დილა ადრე გამოგვიყვანეს ეზოში, გვსწავლიან მწყობრის საერთო მოქმედებას, შემდეგ ტანვარჯიშობას, რაც კარგი მეთაურების ხელმძღვანელობით ყველაფერი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობა. ჯერ-ჯერობით გვიცანით ზემდეგს, რომელიც დაინტერესებულ და ენერგიულ პიროვნებად სჩანს შემდეგი ჩვენი მეცადინეობა გამოიხატებოდა: ყარაულის, გუშაგის, საგუშაგოს და სხვების მნიშვნელობის შესახებ. ხელმძღვანელი ძალიან დაწვრილებით შეუდგა მათ მნიშვნელობის გაშუქებას.

ჩვენთან საკავშირო ასეულში ორმოც კაცში შეიძლება გვერიოს არა საშუალო ცოდნით ხუთი—ან ექვსი. აღსანიშნავია ერთი გარემობაც: ხელმძღვანელი ქართულად ახსნის, შემდეგ ზოგიერთ ამხანაგებს მიმართავდა განემარტებინათ ახსნა განმარტება. ნაცვლად იმისა, რომ ამ ამხანაგებს სრული პასუხი მიეცათ ასე უპასუხებენ ხელმძღვანელს: მე ქართული არ ვიცი კარგად და აგვიხსენი რუსულადო. ზოგიერთებს შეიძლება ესმოდეს ქართული და განგებ სთხოვდეს გადათარგმნას, ეს ყოველად დაუშვებელია და თუ არ იცით იმ შემთხვევაში, რომ ორმაგი მუშაობა არ დასჭირდეს ხელმძღვანელებს და ჩვენი მეცადინეობისათვის ზედმეტი დრო არ დახარჯონ, საჭიროა მათი ცალკე მომზადება, თორემ ხელი გვეშლება. იმედია ამს ყურადღებას მი

უკანასკნელი ცნობები.

რადიო დეპეშები.

ბრიუსელის კონფერენცია ლოკარნოს შესახებ.

საპარლამენტთაშორისო კომუნისტურმა კონფერენციამ ბრიუსელში მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია რომ ლოკარნოს ხელშეკრულება ერთი საფეხურთაგანია იმპერიალისტურ ძალთა გადაჯგუფებისა. ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ შემდეგი შედეგები: მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესება, გერმანიის გადაქცევა შემდეგისთვის საომარ მოქმედებათა ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საჭიროა ომის საფრთხის წინააღმდეგ მოწყობილ უნდა იქნას ერთიანი მსოფლიო პროლეტარიატის ფრონტი.

საქართველოში.

სამხედრო სასადილოები.

კოოპერატივ „ბოიც კკა“-ს გამგეობასთან შეთანხმებით, ქართული სამხედრო კოოპერატივის ყველა სასადილოები (ქუთაისში) გადადიან კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის განკარგულებაში.

მუშაობა ქალთა შორის.

ოზურგეთის მაზრაში სწარმოებს მუშაობა დელეგატების ხელახალ არჩევნებისათვის. აგიტაციისთვის გამოწვეულია 8 აქტიური მუშა ქალი. უკანასკნელ დროს მაზრაში მოწყობილია 3 ქალთა კუთხე. ყოველ კუთხესთან დაარსებულია პრაკერვის სკოლა 30—35 ქალისათვის. ამ კუთხეებში იწარმოებს კულტურულ საგანმანათლებლო მეცადინეობა.

აჭარისტანში.

მოსწავლეთა დახმარების გადიდება.

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაუდიდონ სხვადასხვა სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობას—30 კაცს სტიპენდიის (დახმარება) ნორმა 50 მანეთამდი თვიურად.

გამქირავებელი წერტები.

აჭარისტანის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი აწყობს აჭარისტანის მაზრებში სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების 5 გამქირავებელ წერტს.

გამოასწორეთ ნაკლულევანებანი

მოგვეცით განათება.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონში ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ ცუდათ გვაწვდიან განათებას. ათ საათამდე ისეთი მკრთალი სინათლეა ყაზარმაში, რომ შეუძლებელია რაიმეს წაკითხვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ტყვილა ვართ, ხოლო როდესაც დავიძინებთ მაშინ მოდის სინათლე. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას ლეგ. კომენდანტმა და მოაწესრიგოს სინათლის მოწოდების საქმე.

სამხკორი შ. ბურკაძე.

მოგვაწოდეთ ქართული რუქები.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონს შეემატენ ახალწვეულები, რომლებთანაც ჩქარა დაიწყება შესაფერი მეცადინეობა, მაგრამ არის ერთი გარემოება რომელიც გაძნელებს საქმეს. ნაწილში არა გვაქვს ქართული რუქები. რუსულ რუქებზე კი კომპლექსიური მეცადინეობის დროს ძნელად თუ რამეს გიგებენ ახალწვეულები. ამ საკითხს სეროიზული ყურადღება უნდა მიაქციოს ვისიც ჯერ არს და ჩქარა მოგვაწოდონ ქართული რუქები.

წ. არმ. მიწის ძვრელი.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

მე-ნ ტერ-ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის კლუბი და სასროლო კაბინეთი გაყოფილია თხელი ფიცრულით, რაც ხშირად დიდი საშიშროებას წინაშე გვაყენებს, რადგან სასროლო კაბინეთში მაგიდაზე ალაგია სასროლო და საომარი ნივთები და სხვა და სხვა ადვილად ასაფეთქებელი ნივთიერებანი. კლუბის დარბაზში კი ხშირად სწარმოებს წითელ არმიელთა ჯგუფური მეცადინეობა, რომლებიც ეწევიან თამბაქოს, ელექტრონის მავთულებს ხშირად უჩნდებათ კონტაქტი და ამას გარდა პიესების ჩატარების დროს კლუბში ხშირად ხდება თოფეფიდან სროლაც. ყველა ამათ ნაპერწკლების საშიშლებით შეუძლიათ გამოიწვიონ სასროლო კაბინეთში აფეთქება და უბედურება დაგვატეხოს თავზე. საჭიროა სათანადო ზომების მიღება ყველა ამაზე.

სამხკორი კ. დ—ძე.

უცხოეთის არმიებში

ფინეთის არმია.

ამ უკანასკნელ ხანებამდე ფინეთის არმიის მართველობაში გამეფებული იყო ქაოსი—აუარება ათასგვარი ინსტანციები, მოვალეობათა უმართებულო განაწილება და აქედან კი კერძო კინკლაობა და სხვა. ყველაფერი ეს საგრძნობლად მოქმედებდა არმიის განვითარებაზე. რეფორმების აუცილებლობას არმიაში დიდი ხანია გრძნობდენ, მაგრამ საკუთარი გეგმის არმიის რეორგანიზაციისათვის არ ქონდათ თავი ფინეთი მეორე მხრივ მზამზარეული მაგალითის აღება და მისი გამოყენება ამ საქმეში ეთაკილებოდათ.

დიდი ანორმალობა იყო არმიაში ორი შტაბის არსებობა. რეფორმებს ფინეთის არმიაში საფუძველი ჩაუყარა თვით პრეზიდენტმა, რომელმაც გაუქმა სამხედრო კანცელარია და მისი მოვალეობის ნაწილი დაკისრა სამხედრო სამინისტროს, ხოლო მეორე კი ჯარების სარდლობას. შემდეგ შეერთებული იქნა ორთავე შტაბები ერთ გენერალურ შტაბათ.

ამ ჟამად უმაღლესი სამხედრო ხელისუფალია რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც ექვემდებარება ქვეყნის თავდაცვის მინისტრიცა და არმიის მთავარსარდალი.

თავდაცვის სამინისტრო უმთავრესად მომარაგების საქმეებს განაგებს, ხოლო არმიის სარდლობა კი ყველა სხვა სამხედრო მომზადების და გაწვევის საქმეებს. სარდლობას უშუალოდ ექვემდებარება ქვეითი ჯარისა და არტილერიის ინსპექტორები, გენერალური შტაბები, ყველა მეთაურები უმაღლეს სამხედრო შეერთებათა და ყველა სამხედრო სკოლები. საერთოთ არმიის წყობა არ არის რთული მაგრამ დიდ გასაქანს აძლევს პირად კინკლაობას პასუხისმგებელ პირთა შორის.

შესაფერ სამხედრო მომზადების მეთაურთა უყოლობის გამო ფინეთის არმიის მმართველობაში ზოგიერთი საპასუხისმგებლო ადგილები უჭირავთ რუს ოფიცრებს (თეთრგვარდიელებს), რაც მხედველობაშია მიღებული და გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს უმაღლეს სამხედრო სკოლებში შესაფეთი სამხედრო სპეციალის მომზადებისათვის.

ამბები სოფლებიდან.

— **ფართლეულობა გლეხებისთვის.** სენაკის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მთლიან მომხმარებელ კოოპერატივს, პირველ რიგში შეიძინოს ფართლეულობა გლეხებისათვის.

— **ახალციხის აღმასკომმა** დაწესა აგარას ბორანზე შეღავათიანი ნიხრი გლეხებისათვის.

— **სიღნაღის** სოც. უზრ. სამაზრო განყოფილება შეუდგა ინვალიდთა ნადების მოწყობის გეგმის შემუშავებას.

— **ებრაელთა სკოლისათვის.** სენაკის აღმასკომმა გადასწყვიტა გამონახოს მასწავლებელთა—ებრაელი ს. ბანძის ებრაელთა სკოლისათვის.

— **სოფ. ტირძნისის** (გორ. მაზ.) გლეხებმა გადასწყვიტეს სასოფლო კლუბთან მოაწყონ სამხედრო კუთხე.

— **ველისციხის** (კახეთი) საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა პურის ხორბლის გლეხებზე დარიგების თადარიგს.

ახალი ამბები.

— **სამხედრო ნაწილების** კლუბებთან გადასწყვეტილია მოეწყოს ა.—კ. შემსწავლელი კუთხეები.

— **სამხედრო ქიმია.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა წიგნი „სამხედრო ქიმია“, სახელმძღვანელო მილიციისა, რკინისგზელებისა და სხვებისათვის.

— **საზოგადო სამუშაო** მიკლე ხანში დასრულდება ვერის ხიდიდან საქ. სამხედრო გზამდე გზა-ტკეცილის გაყვანა.

— **უმუშევრობასთან ბრძოლის** მიზნით საქ. შრომის კომისარიატს მთელ საქართველოში ამჟამად მოწყობილი აქვს 47 შრომის კოლექტივი.

— **ქალაქს სატყეო** კულტურის სეკციას ამ ჟამად აქვს 17 ათასი ძირი ეკლდარის ფიქვი, რასაც დარგავენ ტფილისის ახლო-მახლო.

— **საგლეხო ბიუჯეტი.** ტფილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილება შეუდგა მასალების დამუშავებას საგლეხო ბიუჯეტის შესახებ.

— **სახლების აღმშენებლობა.** ამ ჟამად მთელ საქართველობი ითვლება სახლების აღმშენებელი 21 ამხანაგობა ათასზე მეტი წევრით.

— **პურის საცხობი ქარხანები.** ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა გახსნას ამიერ-კავკასიის უმთავრეს ქალაქებში პურის საცხობი ქარხნები.

მეცნიერება და ტექნიკა

ოკეანის სიღრმის გაზომვა ჩრდილოეთის პოლიუსთან.

როგორც ვიცით მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ცნობილი ჩრდილოეთ ქვეყნების მკვლევარი ამუნდსენი გადაფრინდა ჰაეროპლანით დედამიწის ჩრდილოეთ პოლიუსზე, მაგრამ მთლად პოლიუსამდე ვერ მიაღწია, და დიდი წვალების შემდეგ იძულებული შეიქნა უკანვე დაბრუნებულიყო.

ამუნდსენი ამ მოგზაურობის დროს მინაც საგრძნობლად დაუახლოვდა პოლიუსს და შესძლო გაეზომა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანის სიღრმე პოლიუსთან.

მან ორხელ მოახდინა ეს გაზომვა განსაკუთრებული ხელსაწყოს ე. წ. „ეხოლოტის“ საშვალებით, რომელიც იტერს ზღვის ძირიდან არეკნილ ბგერითი ტალღებს. ზღვის ზედაპირის ქვევით ხდება აფეთქება და აღირეკლვა ძირიდან არეკნილ ბგერითი ტალღის დაბრუნების დრო. ზღვის სიღრმე ამ დროს უშუალოდ შეიძლება გაგებულ იქნეს სკალის საშვალებით. ამ ხელსაწყოს გარეშე ამუნდსენი ვერ შესძლებდა ხსენებული გაზომვის მოხდენას, რადგან მას სჭირდება სულ 5—6 წუთამდე (სეკუნდა) იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი მავთულის ლიტით გაზომვას უნდება 2—3 საათი. ამას გარდა ყველა ხელსაწყოები, რომლებიც საჭიროა ზევით აღნიშნული წესით გაზომვისათვის ნახევარჯერ უფრო მსუბუქია ჩვეულებრივზე. ამას გარდა ამუნდსენმა მოიხმარა აგრეთვე ძაფი, რომელზედაც მიმაგრებული იყო ტყვია. ოკეანის სიმაღლეს იგებდა ის წყალის ზედაპირზე დარჩენილი ძაფის სიგრძით, რადგან მთლიანად ძაფის სიგრძე წინასწარ იყო ცნობილი. ეს იმიტომ, რომ ძაფის უკანვე ამოღება ძნელი იყო, რადგან ვერ გაუძლებდა ტყვიის სიმძიმეს.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ულკანს (სამხედრო პოლიტსკოლა) თქვენი კორესპონდენცია „უფროს ეკონომის საყურადღებოთ“ არ დაიბეჭდება. ეკონომმა იცის თავის საქმე და მოვალეობა.

ამხ. ჩხარტიშვილს (1-ლი ლეგ.) კორესპონდენცია „წესრიგის დამრღვევი წ. არმიელი“ მოთავსებულ კედლის გაზეთში.

ამხ. მამმადერს. (1-ლი ლეგ.) შამოიარეთ რედაქციაში.

ამხ. გ. ლეონ ვს (1-ლ არტლეგ.) და **კურსანტ იმნოს** (სამხ. პოლიტსკოლა) თქვენი კორესპონდენცია „მოგვაქვეთ ყურადღება“ და ლექსი „წითელი ყაზარმა“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთებისათვის.

ამხ. ხაზალიას (ცხენ. ლეგ.) ლექსი: „ახალწვეულის ფიცი“ არ გამოდგა. გაუშვით კედლის გაზეთში.

ამხ. ამხ. ზაქროს (მეთაურთა სკოლა), **ჯაყოს** (2-რე საკავშირო) **პ. კახიძეს** (ცხენ. ლეგ.) **ბარ. გოგიას** და **დარჯანიას**—თქვენი კორესპონდენციები: „რას ვაკეთებთ საშეფო სოფელში“, „შეებული წითელი არმიელების წასვლა“ არ გავა. ასეთები დაიბეჭდა, ხოლო „წითელი ლაშქრის ლექსი“, „ყოველად დაუშვეველია“, და „მოგონება“ არ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთ. მეთაურთა სკოლის მე-3 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. დარჩია ვარლამ ნიკოლოზის-ძეს (ქუთაისის მაზ. ქალ. ქუთ. მცხოვრები. 2. ამაშუკელი პეტრე სამსონის-ძეს (შორაპნის მაზრის სოფ. ამაშუკეთში მცხოვრები). 3. მაკაცარიშვილი ვლადიმერ ივანეს ძეს (გორის მაზრის სოფ. მარანაშის მცხოვრები). ადნიშნული ამხ. ამხ. უპარტიოებია.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ შესახებ კომპარტიაში მიღების შესახებ გვაცნობეთ ქართულ მეთაურთა სკოლის მე-3 კომუჯრედში.

კომუჯრედის ბიურო.

განცხადება.

დღეს, ნოემბრის 18, საღამოს 8 საათზე სანიტარულ განათლების თეატრში (ევანგულოვის ქუჩა № 12) გაიმართება უფასო საღამო-წარმოდგენა წითელარმიელთათვის და მეთაურთა შემადგენლობისათვის.